

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის  
2018 წლის  
ანგარიში

2018 წელს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა:

„დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“

1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად, განხორციელდა სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგი;
2. ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებებისა და რექტორის ბრძანებებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფარგლებში სისტემატურად მზადდებოდა საკითხები;
3. მოხდა 2018-2019 სასწავლო წელს ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა შიდა გამოცდების ორგანიზება;
4. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში საჯარო ლექციები ჩაატარეს:
  - საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსი ქალბატონი ნათია გორგოძემ;
  - კომპანია “SEGREGX AUTO GALLERY“-ს გენერალური დირექტორი კობა ბაზაძემ;
  - კავკასიოლოგიის ინსტიტუტის (ავსტრია) დირექტორმა ადამ ლამბერდმა;
  - ჯანდაცვის მიმართულებით, საერთაშორისო ორგანიზაცია „ALIVEMAX“-ის ხელმძღვანელებმა;
5. გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად სასწავლო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია ჩაატარეს ჩეხეთის კარლის უნივერსიტეტის ენის ინსტიტუტის პროფესორებმა ზდენკა პრაჟაკოვამ და ვერა ჰოფმანოვამ;
6. საერთაშორისო კვლევების წარმართვისა და ერთობლივი სამეცნიერო-აკადემიური აქტივობების განსახორციელებლად, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გასაფორმებლად, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების-კიევის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საერთაშორისო საავიაციო უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან. გაფორმდა ხელშეკრულებები თდასუ-სა და აღნიშნულ უნივერსიტეტებს შორის. დაისახა მიზანი ერთობლივი კვლევების, სამეცნიერო კონფერენციების, ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის შესახებ.
7. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ინგლისური ენის ცენტრმა სასწავლო უნივერსიტეტის მთარგმნელობითი ბიუროს ორგანიზებით ჩაატარა

ორდღიანი სემინარი უმაღლეს სასწავლებლებში ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის თანამედროვე ასპექტების შესახებ;

8. არსებული პროგრამების სასწავლო კურსების განსახორციელებლად, გადამოწმდა ბიბლიოთეკის წიგნადი და პერიოდული გამოცემების ფონდი, ლიტერატურა, საბიბლიოთეკო ფონდს გადაეცა ახალი სახელმძღვანელოები, სილაბუსებში შეტანილი იქნა ახალი ლიტერატურა.
9. 2018 წელს უნივერსიტეტის დააფინანსებით გამოიცა 3 სახელმძღვანელო:
  - ლელა მენაბდიშვილი-„ოჯახის მენეჯმენტი“; თბილისი, „ბარტონი“ 2018
  - მურმან ბლიაძე და ნოდარ ბლიაძე-ფირმის „ორგანიზაცია და მართვა“; თბილისი, „უნივერსალი“ 2018
  - მურმან ბლიაძე -„საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტი“;ი- თბილისი, „უნივერსალი“ 2018
10. გაზაფხულზე ჩატარდა მე-19-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც უნივერსიტეტის პროფესორებთან და სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა პროფესორებმა: უკრაინის ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტიდან, ჩერნომორის ეროვნული უნივერსიტეტიდან, უკრაინის ბიორესურსებისა და გარემოს დაცვის უნივერსიტეტიდან, ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტიდან, უკრაინის სამართლის სასწავლო-სამეცნიერო უნივერსიტეტიდან, სუმის სახელმიწო უნივერსიტეტიდან, ფილიპ ორლიკის სახელობის საერთაშორისო კლასიკური უნივერსიტეტიდან, ეკონომიკისა და მენეჯმენტის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტიდან, ჩრდილო დონეცკის ინსტიტუტიდან.
11. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა 50 მოხსენება, აქედან მოწვეული უცხოელი სტუმრების მიერ წარმოდგენილი იქნა 16 სამეცნიერო ნაშრომი.
12. კონფერენციის მასალები დაიბეჭდა რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალ „აღმაშენებელში“ (#13; თბილისი 2018)
13. შეიცვალა ინფრასტრუქტურა ორთოპედიის კაბინეტში, გარემონტდა კაფე სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის.
14. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა განათლების VIII საერთაშორისო გამოფენაზე;
15. 2018-2019 სასწავლო წელს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების უფლებამოსილებული პირების რეგისტრაციის ორგანიზება, და სასწავლო გარემოსთან მათ ადაპტაციაში ხელშეწყობა;
16. 2018-2019 სასწავლო წელს ჩარიცხული პირველკურსელთა სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრები უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში ევროპის კრედიტ სატრანსფერო სისტემის პარამეტრების გაცნობისა და სასწავლო პროცესში მათი განხორციელების შესახებ

17. წლის განმავლობაში ორჯერ განხორციელდა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობით გადმოსულ სტუდენტთა მობილობის პროცესების ადმინისტრირება;
  18. წლის განმავლობაში ორჯერ განხორციელდა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან რიგგარეშე მობილობით გადმოსულ სტუდენტთა მობილობის პროცესების ადმინისტრირება;
  19. სილაბუსების მიხედვით განხორციელდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი.
  20. განხორციელდა სტუდენტის შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდების შედეგების მონიტორინგი;
  21. გადამოწმდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა;
  22. განხორციელდა სტუდენტთა სემესტრული შეფასების უწყისების შემოწმება - განხილვა;
  23. განახლდა სასწავლო მასალები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
  24. განხორციელდა პრაქტიკის ობიექტებზე განაწილებული სტუდენტების კმაყოფილების დონის კვლევა;
- სტუდენტური ინიციატივების გათვალისწინებით, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ბიბლიოთეკის სამსახურის თანამონაწილეობით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:
  - საზეიმო სადამო პირველკურსელთათვის
  - საახალწლო კარნავალი
  - პროექტ “ მე მიყვარს თბილისი“-ს ფარგლებში იპოდრომის ტერიტორიის დასუფთავების აქცია
  - ყოველწლიური საქველმოქმედო ღონისძიება მარტყოფის ბავშვთა სახლში
  - ექსკურსია საქართველოს მუზეუმში-არქეოლოგიურ გამოფენაზე
  - ექსკურსია მთაწმინდის პანთეონში
  - ექსკურსია გელათის სამონასტრო კომპლექსში
  - შეხვედრა ისტორიკოს და პუბლიცისტ გურამ ქართველიშვილთან
  - კოლექტიური დასწრება ანსამბლ „შვიდკაცას“ კონცერტზე
25. განხორციელდა ჰუმანიტარული აქცია და საინგილოს (ისტორიული ჰერეთის) კახის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ ქართული სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები და საახალწლო საჩუქრები.
  26. განხორციელდა კვლევა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური გამოკითხვის ანკეტა - კითხვარებით.
  27. განხორციელდა კვლევა და ანალიზი კურსდამთავრებულთა შორის.

ხარისხის  
სამსახურის უფროსი

A handwritten signature in black ink, consisting of stylized Georgian letters, is written over a horizontal line.

უზრუნველყოფის  
ირინე ვაშაკიძე